სასკოლო მზაობის ცენტრები, ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მთავრობის, პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, პოლონური საგანმანათლებლო ორგანიზაციის „ედუკატორის“ და საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს ერთობლივი პროექტი „სკოლამდელი განათლების ცენტრები ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში“ ხორციელდება გალის რაიონის 4 სოფელში, წალენჯიხის რაიონის სასაზღვრო სოფლებში ზედა ეწერი და ჯვარი.

რა გაკეთდა პროექტის ფარგლებში.

პროექტი მიმდინარეობს სკოლებისა და საბავშვო ბაღების ბაზაზე.

პროექტის ფარგლებში:

- სარემონტო სამუშაოები ჩატარდა იმ ბაზებში, სადაც სასკოლო მზაობის ცენტრები უნდა გახსნილიყო;
- აღნიშნული ცენტრები აღჭურვილ იქნა ავეჯით, ტექნიკით და მეთოდური სახელმძღვანელოებით;
- ცენტრებისათვის შეირჩნენ დაუსაქმებელი მასწავლებლები და გადამზადდნენ შესაბამისი პროგრამით. შესაბამისად აღნიშნული მასწავლებლები ჩართულნი არიან საქართველოს განათლების სამინისტროს საინფორმაციო ბაზაში, როგორც სკოლამდელი განათლების ცენტრების სპეციალისტები (იგულისხმება დამატებითი განათლება);
- სკოლამდელი განათლების დაუსაქმებელ პედაგოგებს ეძლევათ ხელფასები;
- პროექტის განმავლობაში ისინი პერიოდულად გადიან გადამზადების კურსებს;
- პროექტის პარალელურად ყველა სკოლამდელი განათლების ცენტრის პატარას ჩაუტარდა სამედიცინო გამოკვლევები და საჭიროების შემთხვევაში მშობელს და დაინტერესებულ მხარეს მიეწოდა ინფორმაცია ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ:
- აღნიშნულ პროექტში აქტიურად არიან ჩართულნი საზღვრის მიმდებარე სოფლების ის მშობლები, რომელთა შვილებიც დადიან ამ ცენტრებში;
- მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, რომ მშობლები და თემი კმაყოფილებას გამოთქვამს ამ პროექტის მიმართ და აქვთ სურვილი გაგრძელდეს პროექტი:
- პროექტმა დააახლოვა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების სკოლამდელი განათლების მასწავლებლები, სკოლები და თემი, რომელიც ვფიქრობთ კარგი რესურსია ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის ქართულ აფხაზურ კონფლიქტთან მიმართებაში.